


# ნეტარი დედა მატრონა

n 13/644 PX 4791/1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლოცვა

ჰოი, ნეტარო დედაო მატრონა, შეისმინე და შეგვიწყნარე ჩუენ ცოდვილნი, შენდამი მლაღადებელნი, შეჩვეულო მთელი შენი ცხოვრების მანძილზე შეწყნარებად და შესმენად ტანჯულთა და ტვირთმძიმეთა, რწმენითა და სასოებით შენი მფარველობისა და შეწევნისადმი მოლტოლვილთა სწრაფი შეწევნისა და სასწაულებრივი კურნების ყველასათვის მიმნიჭებელო; დაე, ნუ მოგვაკლებ შენს გულმოწყალებას ჩუენ, უღირსთა, ამა სოფლად მშფოთვარეთ და სულიერ მწუხარებათა შინა ნუგეშისა და თანაგრძნობის და ხორციელ უძლურებათა შინა, შეწევნის ვერსად მპოვნელთა. განკურნე უძლურებანნი ჩუენნი, გვიხსენ ცდუნებათა და სატანჯუელთაგან ბოროტისა, ძლიერად მბრძოლისა; შეგვეწიე ტვირთვად ცხოვრებისეული ჯვრისა და ატანად ცხოვრების მთელი სიმძიმილისა, რათა შევიძლოთ შენარჩუნება ღმრთის ხატებისა; სიცოცხლის ბოლომდე დამარხვა მართლმადიდებლური მრწამსისა, ღმრთისადმი შეურყეველი სასოებისა და მოყუასისადმი ჭეშმარიტი სიყვარულისა. შეგვეწიე ამა სოფლიდან განსვლისას, რაითა ჩუენცა მკვიდრთა მას შინა წმიდათა თანა ღირს ვიქმნეთ მიწევნად სასუფეველსა ცათასა, მადიდებელნი გულმოწყალებისა და სახიერებისა ზეციური მამისა, სამებით თაყუანისცემულისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.